

6. Agenda 2000 – For a stronger and wider Europe. Supplement 5/97 to the Bulletin of the EU. Luxembourg, 1997. – 138 pages.
7. Multifunctionality. Towards an analytical framework. OECD, Paris, 2001. - 157 pages
8. Кусакина О., Кривокопа Ю. Системные аспекты многофункционального сельского хозяйства // Теория и практика общественного развития. 2013, # 8. – с. 372-376.
9. <https://projects.org.ge/index.php?id=1&page=2>
10. Spataru A., Faggian R., Docking A. Principles of multifunctional agriculture for supporting agriculture in metropolitan peri-urban areas Journal of Rural Studies. 2020, Vol. 74, pages 34–44.

THE MULTIFUNCTIONALITY CONCEPT OF AGRICULTURE AND GEORGIA

Japaridze Givi, Didebulidze Alexandre
Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia
E-mail: japaridze.givi@yahoo.com; adidebulidze@yahoo.com

Abstract. The report discusses the essence of multifunctional development of the country's agriculture, its features, efficiency criteria, the prospects of transforming Georgia into a net exporter of agricultural products, as well as the role of the multifunctionality of agriculture in Georgia's and international agricultural policy. It is emphasized that until 2012 the agricultural policy of the country was more in line with the membership of the Cairns Group according to the criteria of the World Trade Organization, and in the later period - with the common agricultural policy (CAP) of the European Union, which provides significant budgetary support for the agro-food sector. The functions of the country's agriculture are presented and analyzed in terms of how technically and economically they are related to agricultural production.

Keywords: agriculture, multifunctionality, World Trade Organization, agricultural and environmental programs.

კოლხური ბზის თანამედროვე მდგომარეობა აჭარაში

ჯაფარიძე გივი¹, ვასაძე რეზო² დავითაძე რუსლანი²

¹საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო

²ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი, შუახევი, საქართველო

კოლხური ბზის თანამედროვე მდგომარეობა აჭარაში

E-mail: japaridze.givi@yahoo.com; Vasadze.rezo@mail.ru

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლხური ბზის თანამედროვე მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: კოლხურ ბზა (*buxus colchica*), კორომი, პათოგენური სოკო, ბზის სიღამწვრე (*Cylindrocladium buxicola*), ინვაზიური, მავნე მწერი, „ბზის ალურა“ (*Cydalima perspectalis*), ბიოლოგიური მტერი, რელიქტი.

მარადმწვანე კოლხური ბზა (*buxus colchica*), ბზისებრთა ოჯახიდან საქართველოს უძველესი დომინანტი რელიქტური სახეობაა, რომელიც ბუნებაში გვხვდება, როგორც ხის სწორტანოვანი 9-10 მეტრი სიმაღლის ღეროთი და ვარჯით, ასევე ბუჩქის ფორმით. გარდა საქართველოსი გავრცელებულია თურქეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. კავკასიაში ბუნებრივად გვხვდება ორი სახეობა: კოლხური ბზა (*buxus colchica*) და ჰირკანული ბზა (*Buxus hyrcana*). საქართველოში გვხვდება ხელოვნურად გაშენებული ოთხი სახეობა ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე ბზა (*Buxus sempervirens*), წვრილფოთოლა ბზა (*Buxus microphylla*), იაპონური ბზა (*Buxus japonica*) და ბალეარული ბზა (*Buxus balearica*).

კოლხური ბზა (*buxus colchica*), როგორც ერთ-ერთი მარადმწვანე ძვირფასი, მკვრივმერქნიანი დეკორატიული მცენარე დიდ მოწონებით სარგებლობს. თავისი არსებობის ყველა პერიოდში მასზე დიდი მოთხოვნილება იყო როგორც წარსულში, ასევე დღესაც გამწვანებაში, მედიცინაში სასულიერო სფეროში, ძვირფასი ნაკეთობების დასამზადებლად. ამიტომ ხშირად გასაყიდად გაჰქონდათ უცხო ქვეყნის ბაზარზე, რომლის შესახებ ზოგად ცნობებს კოლხურ ბზის (*buxus colchica*) შესახებ ვხვდებით ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“, სადაც აღწერილი აქვს იმდროინდელი სამეგრელოს ყოფა-ცხოვრება, კულტურა, გეოგრაფიული მდგომარეობა, საზღვრები აქ,

გავრცელებული ფრინველები, ძუძუმწოვრები, მცენარეები, ნადირობის წესები და სხვა. აღწერს, თუ რაოდენ ლამაზი, მდიდარი და მრავალფეროვანია კოლხეთის მცენარეულობა, მაგრამ სოციალური პირობებიდან გამომდინარე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხშირია ძვირფას მერქნიანი მცენარეებით ვაჭრობა: “ ბზის ხეებში, თურქები ძალიან იგებენ, რადგან სამას თუ ოთხას სკუდის მარილით ყიდულობენ იმდენ ხეს, რომელიც ხუთი ათას სკუდიზე მეტი ღირს. თითო ხომალდში ატევენ ხუთ-ექვს ათას ხეს და კონსტანტინეპოლში Hჰყიდიან თითო სკუდად თითო ხეს”.

აჭარაში კოლხური ბზა (*buxus colchica*), ბუნებრივად გავრცელებულია ზღვის სანაპიროდან 500-550 მეტრ სიმაღლემდე, სხვადასხვა ტყის შემქმნელ მერქნიან სახეობებთან ერთად, თხმელასთან, რცხილასთან, ცაცხვთან, წაბლთან, წიფელთან, მუხასთან და სხვა სახეობებთან ერთად, როგორც ხის ფორმით ასევე ქვეტყეში ბუჩქის სახით. წმინდა კორომებს არ ქმნის, წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით ტენიან ხეობებში, მდინარეების გასწვრივ, ვაკე და დაფერდებულ ტერიტორიებზე. ხელოვნურად გაშენებული ერთეული ეგზემპლარები გვხვდება სოფლის კერძო ეზოებში, ქალაქის ქუჩებში და სკვერებში. ასევე ზემო აჭარის მაღალმთის სოფლის მცხოვრებთა ეზოებში 1000 მ სიმაღლემდე. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ 2019 წელს, კინტრიშისა და მტირალას დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ჯერ კიდევ იდგა ხავსით გარშემორტყმული ნახევრად ხმელი ბზის ხეები, ტყის ტაქსაციის დროს ჩვენს მიერ აღრიცხული კოლხური ბზა, რომლის საშუალო სიმაღლე შეადგენდა 15 მეტრს, კორომში თხმელასთან და სხვა დანარჩენ სახეობებთან ერთად, ქმნიდა ერთი სიმაღლის იარუსს. სურ. 1.



სურ.1 კოლხური ბზა (*buxus colchica*)

კოლხური ბზის მდგომარეობა 2013 წელს რადიკალურად შეიცვალა უარესობისაკენ და მისი დიდი რაოდენობა იმავე წელს გახმა. კოლხური ბზის (*buxus colchica*), ხმობის გამომწვევი მიზეზი აჭარის რეგიონში 2010-2011 წლებში შესწავლილი იყო ლ. გორგილაძის, გ. მეფარიშვილის, ზ. სიხარულიძის, კ. ნაცარიშვილის, და რ. დავითაძის მიერ, რომელთა მიხედვით ბზების ხმობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პათოგენური სოკო ე.წ. ბზის სიდამწვრეა (*Cylindrocladium buxicola*), რომლის ზემოქმედებით ახალ დაინფიცირებულ ფოთოლზე ჩნდება მუქი ყავისფერი ლაქები, ფოთოლი კარგავს სიმწვანეს, თანდათან ხდება ქლოროტული და სცვივა.



სურ.2. პათოგენური სოკო „ ბზის სიდამწვრე“ (*Cylindrocladium buxicola*)

პროცესი მეორდება რამდენჯერმე, შემდეგ იწყებს ხმობას მცენარის ტოტები და საბოლოოდ ბზა ხმება. ბზის სიდამწვრით გამოწვეულ სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებენ (Henricot et al., 2000; Brand, 2005; Crepel & Inghelbrecht, 2003; Saracchi et al., 2008; Pintos et al., 2009; Cech et al., 2010). ხორვატიაში, ესპანეთში, იტალიაში, გერმანიაში, ბელგისა და ინგლისში ბზის ხმობას ასევე იწვევს ბაქტერიები, ნიადაგის სოკოები, უნაყოფო სოკოს მიცელიუმი, რომელიც აზიანებს მცენარის ფესვის ბუსუსებს, ლპება, ირღვევა ფესვთა სისტემის ფუნქცია, მცენარე ჭკნება, ფოთლები სცვივა და ხმება.

გარდა სოკოვანი დაავადებებისა, 2013 წელს საქართველოში პირველად დაფიქსირებული იქნა სრულიად ახალი საშიში ინვაზიური მავნე მწერი „ბზის ალურა“ (*Cydalima perspectalis*), რომელიც სავარაუდოდ ქალაქ სოჭიდან გავრცელდა და ძალიან სწრაფად თითქმის ერთი წლის განმავლობაში ბზების 90% გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ მოსახლეობის ეზოებში, სადაც ჩვენი რეკომენდაციით გამოყენებული იქნა ქიმიური პრეპარატები, როგორცაა კარატე, ფასტაკი, სიგნუმი ოქტავე, რამაც სრულიად გაანადგურა მავნე მწერი მისი განვითარების ყველა ფაზაში როგორც სხვადასხვა ხნოვანების მატლები ასევე ჭუპრი და ხოჭო. ვინაიდან ამ მავნე მწერის წინააღმდეგ დღემდე შესწავლილი არ არის ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიება, და ბუნებაში არ გამოჩნდა ბიოლოგიური მტერი, რომელიც შეამცირებს ან სრულიად გაანადგურებს მავნებელს, ჩვენი წინადადება იყო, რომ აღნიშნული ღონისძიება გამოყენების სრული დაცვით ინსტრუქციის შესაბამისად განხორციელებულიყო საქართველოს სხვა ტერიტორიებზე, რაც სამწუხაროდ არ მოხდა.



სურ.3. მავნებელი-ბზის ალურა-*Cydalima perspectalis*

2017 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რეკომენდაციით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სადაც კოლხური ბზა იყო გავრცელებული, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამჯერადი წამლობა, შერჩეული ბიოლოგიური პრეპარატით ლეპიდიინით. წამალი სპეციალურად შერჩეული სახეობის ბაქტერიის - „*Bacillus thuringiensis var. kurstaki*“-ის (BTK) ბაზაზე დამზადებული, რომელიც არ არის ტოქსიკური და საშიში, როგორც ადამიანებისთვის ასევე ხერხემლიანი ცხოველებისათვის, მაგრამ პრეპარატმა ზემოქმედება მოახდინა და გაანადგურა, მხოლოდ I-II ხნოვანების მატლები, ხოლო დანარჩენი ხნოვანების მატლებზე რაიმე სახის ზეგავლენა არ მოუხდენია, რის გამოც ეს პრეპარატი არაეფექტური აღმოჩნდა.



სურ.4. „*Bacillus thuringiensis var. kurstaki*“- (BTK) პრეპარატი ალურას წინააღმდეგ

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2013 წლიდან, დღემდე ბუების სანიტარული მდგომარეობა განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი, სადაც ჩართულია სხვადასხვა სამსახურები. ჩვენს მიერ, შესწავლილი და აღრიცხულია ყველა ტერიტორია მათ შორის დაცული ტერიტორიები და მოსახლეობის ეზოები, სადაც კოლხური ბუებია გავრცელებული, რუქაზე დატანილია გავრცელების კოორდინატები და სანიტარული მდგომარეობა. შერჩეულ სანიმუშო ფართობებზე ბუების დეტალური შესწავლის მიზნით დაკვირვება ხდებოდა (ბუჩქი, ხე) ფესვებზე, ღეროებზე ვარჯზე, კენწეროზე. აღირიცხებოდა ბუის ფორმა (ბუჩქი, ხე), ხის ფიზიკური მდგომარეობა (ხმელი, ხმოზადი, მოტეხილი და სხვა), ხის ღეროს დაზიანების პროცენტი, წყლულების მოცულობა, რაოდენობა, წყლის პროცენტული შემცველობა, განახლების მდგომარეობა.

2014 წლის ივნისში, მონიტორინგის დროს ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის, კირნათის სატყეოს №5 სამცველოს, №6 კვარტალში, ლიტერ №2 (სოფ. მირვეთის მდინარის გასწვრივ), ხის ღეროებზე შემჩნეული იქნა ბუის ახალი ამონაყარი, ანალოგიური სურათი იყო სოფ. მაჭახლის, სოფ. ერგეს, ტერიტორიებზე, ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის ჩაქვისა და მტირალას ეროვნული პარკის, კინტრიშის, თიკერის ტერიტორიაზე, მაგრამ იმავე წელს ვეგეტაცია შეწყდა, რაც გამოწვეული იყო, როგორც ბუის ალურას ასევე პათოგენური სოკოს „*Cylindrocladium buxicola*“-ზემოქმედებით.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო და არის სოფ. ჯოჭოში, მდ. ჯოჭოს გასწვრივ, სადაც მოქალაქეების პირადი ინიციატივით ყოველი გაწვიმების შემდეგ ხდება სუფთა ბუნებრივი წყლით ბუების ჩამორეცხვა ბუების სანიტარული მდგომარეობა კარგია.

2023 წლის ივნის-ივლის-აგვისტოში, ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სანიმუშო ფართობებზე, ბუების ბუნებრივი განახლების მდგომარეობის შეფასების მიზნით მონიტორინგი და დეტალური დათვალიერება განხორციელდა, ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის, კირნათის სატყეოს №5 სამცველოს, №6 კვარტალში, ლიტერ №2 (სოფ. მირვეთის მდინარის გასწვრივ), რომლის სატაქსაციო მაჩვენებლებია:

GPS კოორდინატები X-726217, Y-4601176,

სიმაღლე ზღვის დონიდან 60 მეტრი,

ჩრ. დასავლეთის ექსპოზიცია,

კორომის შემადგენლობა 3წბ3კაკ2თხ2რცხ+ბალ.ლეღვი,

ქვეტყე წარმოდგენილია შერეული სუბტროპიკული მცენარეებით: ბზა, წყავი, დიდგულა, ჯონჯოლი, ეკალიჭი, მაყვალი, სურო, გვიმრა, ანწლი.



სურ.5. 2023 წლის მდგომარეობით



სურ.6. 2016 წლის მდგომარეობით

ამავე სამცველოს №1 კვარტალის, ლიტერ №23-ში (სოფ. მიგურეთის, მდინარე ჭოროხის გასწვრივ) ზღვის დონიდან 55 მეტრზე, სატაქსაციო მაჩვენებლებით:

GPS კოორდინატები X- 726,476, Y-4601345,

სიმაღლე ზღვის დონიდან 55 მეტრი,

ჩრ. დასავლეთის ექსპოზიცია,

კორომის შემადგენლობა 3რცხ2კაკ2თხ2ცაც1ნეკ+მუხ.ლეღვი,

ქვეტყე წარმოდგენილია შერეული სუბტროპიკული მცენარეებით: თხილი, ბზა, წყავი, დიდგულა, ჯონჯოლი, ეკალიჭი, ჭანჭყატი, მაყვალი, სურო, გვიმრა, ანწლი, ტუნგო, ხეშავი.



სურ.6. 2023 წლის მდგომარეობით (დაცულ ტერიტორიებზე)

ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის, ჩაქვის სატყოს №53 სამცველოს, №27 კვარტალში, ლიტერ №40 (სოფ. ჩაქვისთავის, მდინარე ჩაქვის წყლის გასწვრივ) ზღვის დონიდან 190 მეტრზე, სატაქსაციო მაჩვენებლებით:

GPS კოორდინატები X-736297, Y- 4618345

სიმაღლე ზღვის დონიდან 190 მეტრი,

ჩრ. დასავლეთის ექსპოზიცია,

კორომის შემადგენლობა 3რცხ3წბ3თხ1ცაც+ნკ.ლევდი,

ქვეტყე წარმოდგენილია შერეული სუბტროპიკული მცენარეებით: ბზა, თხილი, მაცვალი, წყავი, დიდგულა, ეკალიჭი, მაცვალი, სურო, გვიმრა, ანწლი.



სურ.7. 2023 წლის მდგომარეობით (ჩაქვის სატყეო)

სარეველა მაღალბალახეულობისა და შერჩეული სანიმუშო ფართობის რთული გეოგრაფიული პირობების გამო, რომ დიდი სიზუსტით მომხდარიყო აღმონაცენ-მოზარდის დათვლა-აღრიცხვა სანიმუშო ფართობზე აღებული იქნა ბაქნები სიდიდით 1X1მ, 2X2მ. აღრიცხვა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 221 წლის 18 მაისის №221 დადგენილების „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დანართი №3 შესაბამისად.

ქობულეთის და ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციის ტყის ტერიტორიაზე კოლხური ბზის ბუნებრივი განახლების მაჩვენებლები კვარტლებისა და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების მიხედვით 2022-2023 წწ.

სატყეო ადმინისტრაცია	სატყეო	კვ. № GPS კოორ	სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლები	მოზარდის სიმაღლე მეტრობით 0,5-1,0	
				ბაქანის ზომა	
				ნერგების რაოდენობა 1X1	ნერგების რაოდენობა 2X2
ქობულეთი	ჩაქვი	X-736297, Y- 4618345	ექსპ. ჩრ.დ. კორ. შემადგ: 3რც3წბ3თხ1ცაც+ნკ.ლელ ვი სიხშირე. 0,3-0,4; ქვეტყე: ბზა, თხილი, მაყვალი, წყავი, დიდგულა, ეკალიჭი, მაყვალი, სურო, გვიმრა, ანწლი.	4-5 ც.	7-8 ც
ქობულეთი	ჩაქვი	X-734769, Y- 4621690	ექსპ. ჩრ.დ. კორ. შემადგ: 4თხ3წბ2რც1ხურ+ნკ.ლე ღვი სიხშირე. 0,4-0,5; ქვეტყე: ბზა, თხილი, მაყვალი, წყავი, დიდგულა, ტუნგო, ეკალიჭი, მაყვალი, სურო, გვიმრა.	1-2	2-3
მტირალას ეროვნული პარკი	saguSa- gosTan	X-734,830 Y-4,619,684	ექსპ. ჩრ.დ. კორ. შემადგ: 5რც3კაკ2თხ სიხშირე. 0,3-0,4; ქვეტყე: ბზა, თხილი, თუთუბო, მაყვალი, წყავი, დიდგულა, ეკალიჭი, მაყვალი.	1-2	2-3
ხელვაჩაური	კირნათი	X-726217 Y-4601176	ექსპ. ჩრ.დ. კორ. შემადგ: 3წბ3კაკ2თხ2რცხ+ბალ.ლ ელვი სიხშირე. 0,3-0,4; ქვეტყე: ბზა, წყავი, დიდგულა, ჯონჯოლი, ეკალიჭი, მაყვალი, სურო, გვიმრა, ანწლი.	2-3	5-6
ხელვაჩაური	კირნათი	X-726,476 Y- 4601345	ექსპ. ჩრ.დ. კორ. შემადგ: 3რცხ2კაკ2თხ2ცაც1ნეც+მ უხ.ლელვი, სიხშირე. 0,3-0,4; ქვეტყე: თხილი, ბზა, წყავი, დიდგულა, ჯონჯოლი, ეკალიჭი, ქანჭყატი, მაყვალი, სურო, გვიმრა, ანწლი, ტუნგო, ხეშავი.	2-3	5-6

აღრიცხული იქნა როგორც თესლით, ასევე ამონაყრით 2-3 წლიანი კოლხური ბუჩა და როგორც №1 ცხრილიდან ჩანს 1X1 მ² –ზე არის დაახლოებით 3 - 4 ცალი, ხოლო 2X2 მ² –ზე კი დაახლოებით 5-6 ცალი, რომლის სიმაღლე იყო 15 – 20 სმ და სანიტარული მდგომარეობა საიმედო.

მართალია მოცემული დებულების №3 დანართის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს კორომში აღებული სანიმუშო ფართობის ბაქნებზე აღრიცხული აღმონაცენ – მოზარდის სიმაღლე და რაოდენობა, კორომის სიხშირის შესაბამისად, რომ ის ჩაითვალოს საკმარისად ტყის აღდგენის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით და თამამად ვთქვათ, რომ თუ არ განმეორდა მავნებელ-დაავადებების ზემოქმედება ბუჩის გავრცელების არეალში, მაშინ კოლხურ ბუჩას გაქრობა არ უწყერია და თანდათან მოხდება აღდგენა, ზრდა-განვითარება, გამრავლება და გავრცელება.

როგორც ჩანს, ტყის იმ უბნებში სადაც უკვე მიმდინარეობს კოლხური ბუჩის (*buxus colchica*) ბუნებრივი განახლება, იქ არ გვხვდება პათოგენური სოკო, *Cylindrocladium buxicola* – ზემოქმედება ან კიდევ უმნიშვნელოა, რადგან ჩვენი კვლევებით დასტურდება, რომ პათოგენური სოკოს ზემოქმედებით, გამხმარია ბუჩის როგორც ფესვები, ასევე მიწისზედა ორგანოები (ღერო, ვარჯი, კენწერო) და სრულიად დაკარგული აქვს ამონაყრის უნარი, ხოლო მავნე მწერის ბუჩის ალურას *Cydalima perspectalis* ზემოქმედების შემდეგაც კი ბუჩა ინარჩუნებს მცირე რაოდენობით წყლის შემცველობას და ფესვებიდან ხდება ამონაყრით გამრავლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. გორგილაძე, გ. მეფარიშვილი, ზ. სიხარულიძე, ვ. ნაცარიშვილი, და რ. დავითაძე – საქართველოში ბუჩის სიდამწვრის (*Cylindrocladium buxicola*) მიერ გამოწვეული ბუჩების დაზიანების შესახებ პირველი ანგარიში. რეცენზირებული ონლაინ ჟურნალი ბრიტანეთის მცენარეთა პათოლოგიის საზოგადოება. აპრილი 2011.
2. ვასაძე რ. – აჭარის წაბლნარების სანიტარულ-პათოლოგიური მდგომარეობა. რეგიონული ეკონომიკა. სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. გამოცემული აჭარის ა.რ. სავაჭრო სამრეწველო პალატა #2, სექტემბერი-დეკემბერი, 2008. გვ. 38-40.
3. დავითაძე რ., ვასაძე რ. - აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლნარი კორომების ბუნებრივი განახლება ტყის ძირითად ფორმაციებში, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მნიშვნელობა მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2013 გვ. 53-54
4. Васадзе Р.Ш., Чхобадзе Г.С. Каштановые леса Грузии под влиянием минера *Cameraria ohridella* Deschka (*Gracillariidae*) - 2014. Материали международной научной конференции-КИЕВ-2014. стр.237.
5. Brand T, 2005. Outbreak of *Cylindrocladium buxicola* B. Henricot on boxwood in Northwest-Germany. Northwest-Deutschland. Nachrichtenblatt des Deutschen Pflanzenschutzdienstes 57, 237-240.
6. Cech T, Diminic D, Heungens K, 2010. *Cylindrocladium buxicola* causes common box blight in Croatia. New Disease Reports 22, 9.

THE CURRENT STATE OF COLCHIS BOXWOOD IN ADJARA

Japaridze Givi¹, Vasadze Rezo², Davitadze Ruslan²

¹Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia

²Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate, Shuakhevi, Georgia

E-mail: japaridze.givi@yahoo.com; Vasadze.rezo@mail.ru

Abstract. The article discusses the current state of Colchis boxwood in the territory of the Autonomous Republic of Adjara.

Keywords: Colchis boxwood (*buxus colchica*), stand, pathogenic fungus, boxwood blight (*Cylindrocladium buxicola*), invasive, pest insect, "boxwood weevil" (*Cydalima perspectalis*), biological enemy, relict.